საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციონო პარტია № 216 კვირა, აპრილის 8 (21) 1918 წ. № 216

სახალხო საქმე

13

მთავარი კომიტეტის ორგანო

მდინარე ჩოლოქის ხიდთან ოსმალოებმა იერიში მოიტანეს: ჩვენებმა მათი იერიში მოიგერიეს; ოსმალოებს იერიშები არ განუახლებიათ.—სარიყამიშის მიმართულებით ოსმალოებმა ახალ-სელიმთან ფრონტი გაარღვიეს.—სტამბოლის ცნობით ოსმალოს ჯარი ყარსს ჩრდილოეთით შემოერტყა.—აბასთუმანში ქრისტიანი მცხოვრებნი დაიჭირეს.—ეკატერინოვკაში ეროვნული შეტაკება დაიწყო.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მანეთ., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ნარიშკინის ქუჩა, სახლი № 14 და ღირდება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

ტფილისი, 8 აპრილი 1918 წ.

დარაზმვის აუცილებლობა

მეტისმეტად მწვავე პოლიტიკური და საერთაშორისო საკითხები აქვს გადასაწყვეტი საქართველოს დემოკრატიას. მოვლენები ისეთის კატასტროფიულის სისწრაფით მისდევენ ერთი მეორეს, რომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრი ვერც კი ასწრობს მათს გაშუქებასა და დაფასებას. ორი ძალა „ეპოტინება" დღეს ჩვენს ქვეყანას და ორივეს ჰსურს მისი „დაპყრობა". ერთი ძალაა ბოლშევიკური რუსეთი, რომელსაც თან მისდევს მთელი რუსული ელემენტი, მეორე ძალა კი არის ოსმალეთი. ტყუილია იმის მტკიცება, თითქოს ბოლშევიკების სურვილი მხოლოდ შინაგანი პოლიტიკით გამოწვეული სურვილია. ბოლშევიკების მისწრაფებას საფუძვლად უდევს სურვილი ამიერკავკასიის შენარჩუნებისა, ამიერკავკასიის დარჩენისა რუსეთის საზღვრებში. ოსმალეთი და მისი მოკავშირენი ამნაირისავე თვალსაზრისით უცქერიან ბოლშევიკების სურვილს ამიერკავკასიაში გაბატონებისას და თავიანთი მოქმედების გეზსაც ამისდამიხედვით ჰმართავენ. ჩვენი ქვეყანა დიდი სახელმწიფოების პრეტენზიების საგნადა ჰხდება და ამ საბედისწერო ჟამს არსადა ჩანს ერის ხმა—ხმა თავისუფლებისა, რომელიც შეიძლება საერთაშორისო ფერხულში სუსტად ისმოდეს, მაგრამ რომელსაც აუცილებლად უდიდესი მორალური მნიშვნელობა ექნება. ისტორიული ცოდვები გვახრჩობენ, ისტორიული შეცდომები ჰბორკავენ ჩვენს ეროვნულ ნებისყოფას, რომელიც დღესაც კი, ამ უდიდესი განსაცდელის დროს, უმწეოდ ერთის მომავლის წინაშე და კვლავ თითქოს სხვის ნებისყოფისა და სურვილების მასალად უნდა გადაიქცეს.

მაგრამ, რანაირიც არ უნდა იყოს ჩვენი მომავალი, ერთი მაინც ყოველივე ეჭვს გარეშეა: საჭიროა დარაზმვა, საჭიროა მთელი ჩვენი სასიცოცხლო ძალების დარაზმვა, რათა მსოფლიო კატასტროფაში მოქცეულ ჩვენს პატარა ერს არ გაუჭირდეს იმ საშინელი ოპერაციების გადატანა, რომლების მოხდენასაც ცხოვრების აბობოქრებული სტიქიონი მოისურვებს ჩვენს ნორჩ ეროვნულ ორგანიზმზე.

საჭიროა არა მარტო დარაზმვა სამხედრო, საჭიროა მთელი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მექანიზმის გამაგრება, რათა შესაძლებელი გახდეს ეროვნული პოზიციების შენარჩუნება და განმტკიცება მაქსიმუმის იმისა, რის განმტკიცებასაც მოვახერხებთ დღევანდელს საბედისწერო მომენტში.

მეორე ნეიტრალიტეტი.

მაჰმადიანების შემდეგ „ნეიტრალიტეტი" რუსის ოფიცრებმა გამოაცხადეს. ძალიან საინტერესო მოვლენაა და ამასთავავე ერთად დამახასიათებელი. იმ დროს, როდესაც რუსული საზოგადოებრივი აზრი მოგვიწოდებს, ომი რუსეთის აღსადგენად ერთად ერთი გზა თვით საქართველოს გასაბედნიერებლადაო, იმ დროს, როდესაც გარეშე მტერთან ბრძოლაში ყოველს მებრძოლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს,—აი ამისთანა დროს რუსის ოფიცრები აცხადებენ, ომში მონაწილეობას ვერ მივიღებთ და კომისიას კი ავირჩევთ, რათა მან იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, კუთვნილი ჯამაგირი მოგვეცესო. ძალიან დამახასიათებელი „ნეიტრალიტეტია". აღმოჩნდა, რომ არამც თუ რუსეთის ჯარმა დაგვანება თავი, რუსის ოფიცრებმაც კი, რომელიც დღემდის ამიერკავკასიის მიერ შექმნილი მდგომარეობის წყალობით განაგრძობს უზრუნველყოფილ ცხოვრებას, ნეიტრალიტეტს იცავს მაშინ, როდესაც ამიერკავკასია ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება.

რუსეთის საზოგადოებას დიდი პრეტენზიები აქვს, ყოველ დღე იმას გაჰკივის, რუსეთს არ ჩამოშორდეთო და ამავე დროს ხელს არ ანძრევს რითიმე დაეხმაროს ბრძოლაში თავგანწირულად მიმავალ მეომრებს. უფრო მეტიც!.. რუსის ოფიცრობა ნეიტრალიტეტს იცავს.

რის მომასწავებელია რუსის ოფიცრების ეს განცხადება? მხოლოდ იმისა, რომ ჩვენთვის გული არავის შესტკივა, რომ პირიქით ის, ვინც მეგობრად შეგვეძლო დაგვესახა, მტრულად გვიცქერის, რომ ყველას ჩვენი უბედურება თავის სასარგებლოდ ჰსურს გამოიყენოს.

სიმპტომატიურია ისიც, რომ „ნეიტრალიტეტს" იცავენ მაჰმადიანები და რუსის ოფიცრები—მომხრენი ოსმალეთისა და რუსეთისა. მაგრამ ორივე ამ ელემენტის ნეიტრალობა, ჩვენის წარმოდგენით, დროებითი ნეიტრალობაა. იგი თავის კბილებს გვაჩვენებს მაშინ, როდესაც სასწორი ან ერთი მხარისკენ გადაიხრება ან მეორე მხარისკენ. მაშინ, უეჭველია, ნეიტრალობა აქტივობად გადაიქცევა და კილოც საუბარისა სულ სხვანაირი გახდება.

როგორ გაბოლშევიკდნენ სოციალ-დემოკრატები

ბოლშევიკური მიმართულება სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ერთი ფრთა იყო. ჩვენ, რა თქმა უნდა, აზრად არა გვაქვს, დავწეროთ მთელი ისტორია იმ ცვლილებისა, რომელიც სოციალ-დემოკრატების ამ ფრთამ განიცადა და ბოლოს იმ შედეგამდე მივიდა, რომელშიც ეხლა იმყოფება. ჩვენ გვინდა მხოლოდ ორიოდე მაგალითს მივაქციო მკითხველის ყურადღება.

ბოლშევიკები, როგორც საზოგადოდ სოციალ-დემოკრატები, უკიდურესი ცენტრალისტები იყვნენ. ჯერ ისევ რევოლიუციის პირველ დღეებში რევოლიუციის ერთი ხელმძღვანელთაგანი სტალინ-ჯუღაშვილი პეტერბურგის ბოლშევიკურ გაზეთში სწერდა, ყოველს ერს უფლება აქვს რუსეთს ჩამოშორდეს, მაგრამ რაც დარჩება, იქ უნიტარული წეს-წყობილება უნდა დამყარდეს, ცენტრალისტური და არა ფედერატიულიო. ეს უბრალო ფრაზა კი არ იყო, არამედ აზრი, რომელიც ბოლშევიზმის სულსა და გულს შეადგენდა.

პოლიტიკურ ცენტრალიზმთან დაკავშირებული იყო ეკონომიკური ცენტრალიზმი. ამიტომ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ სახელმწიფოებრივი მექანიზმის გაძლიერებას. მიწის საკითხსაც ბოლშევიკები ამნაირად უცქეროდნენ და საჭიროდ მიაჩნდათ მიწის ნაციონალიზაცია, ე. ი. სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება. ბოლშევიკების ყველა ეს თეორია თვით ბოლშევიკებმა დაამსხვრიეს. და, უკეთ რომა ვსთქვათ, ცხოვრებამ მათ ეს თეორიები დაამსხვრევინა.

უნიტარიზმის ადგილას წამოაყენეს ფედერალიზმი და ნაციონალიზაციის ნაცვლად დაადასტურეს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონი მიწის

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ დღეს ნაშუადღევის 1 საათზე გარდაცვალების წლის თავზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგის

მატო (მარგალიტა) ციცქიშვილის

სულის მოსახსენებლად. 407

ღრმად დამწუხრებულნი ძმები პოლიკარპე და ალექსანდრე კონსტანტინეს ძენი იოსელიანები, დები—ექიმი მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი, ანეტა კონსტანტინეს ასული ლომინაძისა, ელენე მიანსაროვისა, დედის—და ეფროსინე ჯდანოვისა. ბესარიონ იოსების ძე ლომინაძე, ნიკოლოზ პეტრეს ძე იოსელიანი და არშაკ ამიროვის ძე მიანსაროვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე იოსელიანი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. საკუთარ ბინაზე ბელინსკის ქუჩა № 18. გამოსვენება კვირას 8 აპრილს დილის 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, სადაც მოხდება დასაფლავება. 406

კვირას, აპრილის 8 ს ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

მიხეილ მელიტონის ძის ყანჩელის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გულმოკლულნი: მეუღლე ნინო ნიკოლოზის ასული, შვილები: ლადო, საშა, ერეკლე, ნიკო, ვახტანგი, დათიკო და გიორგი, ძმა მისი გიორგი, ცოლის და ანნა და ქვისლი იოსებ იმედაშვილები. 408

სოფიო დიმიტრის ასული დავიდოვისა და დავით ალექსანდრეს ძე დავიდოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათის დაუვიწყარის ტრაღიკულად გარდაცვალებულის შვილის და დის

თეკლე ალექსანდრეს ასულის დავიდოვის

სულის მოსახსენებლად ხვალ, 9 აპრილს, წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა 12 საათზე.

მომხ. საზოგ. „მოსავლის" წევრების საყურადღებოდ

ტფილისის გაზეთებში განცხადებაა მოთავსებული მოსამსახურეების საბჭოსგან, რომ კვირას, 8 აპრილს, დანიშნულია საზოგადოების კრება. საზოგ. წევრების ძალით მოწვევას უფლება აქვს მხოლოდ გამგეობას, რომელიც მოიწვევს 15 აპრილს. ადგილი კრებისთვის ცალკე იქნება გამოცხადებული.

412 გამგეობა.

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტაიდის, საკუთ. ახლად შენ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 13—96

დღეს 7 აპრილს გაიმართება

2 დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

მონაწილეობენ საუკეთესო ძალები: იაპონელთა დასი, ქონდრა, ჟოკეი ვლადიმიროვი, სტრაკაი, ბონ-ბონ და სხვ.

ანონსი: ხვალ 9 აპრილს პირველი გასტროლი მეველი-ბრონტების. ამ დღეებშია ბენეფისი იაპონელთა დასისა. 413

დილის წარმოდგენა.

ქართული კლუბი

კვირას, 8 აპრილს, მსახიობი ე. ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ე. აბაშიძის, ცაცა ამირეჯიბის და ალ. წუწუნავას მონაწილეობით პირველად ტფილისის სცენაზე **შალვა დადიანის პიესა**

გუშინდელნი

3 მოქმედებად.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე. 1071 ბილეთები იყიდება.

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა აღმასრულებელი კომიტეტი

უკანასკნელად მოაგონებს ბბ. ვაჭარ-მრეწველთ, რომელთაც მიიღეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ ერთდროული გადასახადის უწყებები, დაუყონებლივ შეიტანონ მათზე ფული გაწერილი, ხოლო ვისაც რაიმე მიზეზის გამო უწყება არ ჩაუბარებია, ვალდებულია მოიკითხოს ასეთი კომიტეტის მდივანთან (მიხეილის პროსპექტი, № 5, ა. ბერულაშვილის ღვინის საწყობი) დილის 10 საათიდან 12 საათამდე.

ფული ყველა ქართველ ვაჭარზეა გაწერილი და უწყების მიუღებლობა ვერ იხსნის მათ მოსალოდნელ პასუხისმგებლობისაგან.

ვინც ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, არ შემოიტანს ფულს, მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოცხადდება და მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული შესაფერი ზომები.

1107 აღმასრულებელი კომიტეტი

ღვინის ვაჭართა (ბაღის მფლობელთა კავშირის გამგეობა

სთხოვს კავშირის წევრებს მობრძანდნენ საზოგადო კრებაზე, რომელიც გაიმართება 8 აპრილს, დილის 11 ს., ხელოსანთა კლუბის საზაფხულო შენობაში (მიხეილის პროსპექტი)

განსახილველია:

1) ანგარიში გამგეობის მოქმედების შესახებ 1917 წ.
2) ღვინის ვაჭრობის გახსნის წესი.
3) მიმდინარე საქმეები.

403 გამგეობის თავმჯდომარე ვ. მარქაროვი

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების

საოპერაციო ბიურო

(ტფილისი, ბარიატინის ქ. № 5; დეპეშით: იკოხ)

მეურნეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ის ბაზრის ფასზე უფრო იაფად ჰყიდის ბოსტნეულობის და ბალახეულობის თესლებს, გოგირდს, ცელს, ნამგალს, სხვა და სხვა სამეურნეო იარაღს, ლურსმანს, „ვედროს", ყოველნაირ რკინას, ნალს (ლუმბს) და სხვ. 1136

ფარჩის და ჩალის უკანასკნელ ფასონზე შეკერილ ქალების და საზაფხულო ქუდების შეძენა შეიძლება

◆ ◆ ◆ ◆ ქ-ნ მიქელაძის ახლად გახსნილ ◆ ◆ ◆ ◆

მაღაზიაში

თამამშევის ქარვასლაში ზედა სართული №№ 31—32 კუთხის მაღაზია.

მაღაზია შეუწყვეტლივ ღებულობს გემოვნებით და ლამაზად გაკეთებულ უკანასკნელ მოდელ ფასონებს.

ყოველივე ეს და უმთავრესად კი ხელმისაწვდომი მცირე ფასები არის სრული თავდები იმისა, რომ ქ-ნ მიქელაძის მაღაზია დაიმსახურებს პატივცემულ მყიდველთა ნდობას და ყურადღებას. ქუდების დაკვეთაც შეიძლება. იქვე საჭიროა გამოცდილი გამყიდველი (Опытная Продавщица). 409

აგარაკი წაღვერი

(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი

ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკავებულ სუფთა ადგილს, ფიჭვ ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის საგანგებოდ გამოყვანილი სუფთა წყარო. არის ვანები, პიანინო და სხვ... სახლიდან მოჩანს საუცხოვო სანახაობა..

აგრეთვე წაღვერში მიმდინარეობს მეტად სასარგებლო მჟავე (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება თვით წაღვერში: **Цагвери (черезъ Боржомъ) Елисаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили.**

სოციალიზაციისა. ფაქტიურად, რა თქმა უნდა, არც ეს უკანასკნელი ზომები ხორციელდება ისე, როგორც თეორეტიულად იქმნა აღიარებული, მაგრამ ბოლშევიკებმა მაინც ძირიან-ფესვიანად შეიცვალეს თავიანთი წინანდელი აზრები და შეხედულებანი. თეორეტიულად კავშირი გასწყვიტეს მარქსიზმთან, ხოლო პრაქტიკულად გაამეფეს ანარქისტული საშუალებანი ბრძოლისა. ამიტომ მათ რუსეთში ერთი ცენტრალისტური მთავრობა კი არ შექმნეს, ეხლა რუსეთში იმდენი მთავრობაა, რამდენი სოფელიც არსებობს. ყველა ისე იქცევა როგორც თვითონა ჰსურს და ერთი კუთხის „მთავრობა", მეორე კუთხის „მთავრობას" ან ებრძვის, ან ყოველ შემთხვევაში არ ემორჩილება. რუსეთი ფაქტიურად უმთავრობო სახელმწიფოდ გადაიქცა, ისეთს სახელმწიფოდ, სადაც აღარც ყველასთვის სავალდებულო კანონი არსებობს აღარც ყველასთვის სავალდებულო სამართველო და აღარც საყოველთაო აღმასრულებელი. რუსეთის სადმე მიყრუებულ ადგილას შეიძლება გაჩნდეს საკუთარი მთავრობა, რომელიც იქვე ხელად ამოირჩევს თავის სასამართლოს, იქვე წაავლებს ხელს ყველას, ვინც არ მოსწონს, თითონვე გაასამართლებს და თითონვე დახვრიტავს. ბოლშევიკური ცენტრალისტური რუსეთი ასეთ **უმთავრობო და უკანონო** სახელმწიფოდ გადაიქცა.

მეორე დიდი ცვლილება, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრთამ განიცადა, ის არის, რომ მან ყოველივე კავშირი გასწყვიტა ერის სუვერენულ იდეასთან, ერი საყოველთაო საარჩევნო სისტემის საშუალებით ანხორციელებს თავის მოქალაქეობრივ უფლებას. პარლამენტარიზმი ჰქმნის საშუალებას მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლისას. ეს პარლამენტარიზმი, რომელსაც შეალია თავისი საკეთესო ძალღონე მთელმა თაობებმა, ბოლშევიკებმა „ბურჟუაზიულ" წესწყობილებად გამოაცხადეს და რუსეთი დასახეს არა რესპუბლიკად, რომლის ყველა მოქალაქე ერთნაირის პოლიტიკურის უფლებებით არის აღჭურვილი, არამედ საბჭოების რესპუბლიკად. ამ რიგად ბოლშევიკებმა ორად გაჰყვეს რუსეთი, ერთი ნაწილი აღჭურვილია პოლიტიკური უფლებებით, მეორე ნაწილი კი ყოველივე პოლიტიკურს უფლებებს მოკლებულია. ერთს ნაწილს აქვს მინიჭებული თავისუფლება სიტყვისა, ბეჭვდისა, კრებებისა, მეორე ნაწილი ყოველივე ამას მოკლებულია. ამ რიგად, ბოლშევიკებმა ერთგვარად დააკანონეს მოქალაქეთა განაწილება სრულ-უფლებიანებად და ამით სამუდამოდ ჩაჰკლეს იდეა მოქალაქობრივი თავისუფლებისა. ესეც არ კმარა. მათ დიდი პოლიტიკური სიბრძნეც გამოიჩინეს და განაცხადეს, ამიერიდან აღარ უნდა არსებობდეს ცალ-ცალკე ძალა კანონმდებელი და ძალა აღმასრულებელი. იდეა ერის სუვერენობისა მოითხოვს, რომ ხალხმა, ხალხის მიერ არჩეულმა წარმომადგენლებმა თითონ გამოსცენ კანონები, ხოლო მთავრობამ ეს კანონები სისრულეში უნდა მოიყვანოს. ბოლშევიკების წარმოდგენით ეს ბურჟუაზიული სისულელეა ერთმა ან იმავე მთავრობამ კანონიც უნდა გამოსცეს და განახორციელოს კიდეც.

ამასაც აღარავითარი საერთო არა აქვს იმ მიმართულებასთან, რომლებსაც ბოლშევიკები იზიარებდნენ. ასეთი ცვლილება განიცადეს ბოლშევიკებმა რევოლიუციის პროცესში, ხოლო როგორ გაიგო ყოველივე ეს მასამ, ამას საუკეთესოდ ამტკიცებს ზღვა იმ სისხლისა, რომელიც მთელი რუსეთის სივრცეზე იღვრება...

არ. ჯაჯანაშვილი.

ქართული პრესა

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა" აღნიშნავს, თუ რატომ არ დაუჭირა მან დღემდის მხარი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, ამბობს, რომ პრინციპიალურად იგი წინააღმდეგი არ არის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და შემდეგ დასძენს:

„ჩვენ გამოვაცხადებთ დამოუკიდებლობას, თუ მას დაადასტურებენ ევროპის ძლიერი სახელმწიფოები და საჭირო გარანტიასაც მოგვცემენ".

ჩვენი დამოუკიდებლობა „ერთობას" ისეთს რამედ წარმოუდგენია, რაც თურმე შეუძლიან ევროპის სახელმწიფოებს „დაამადლოს". საჭირო იყო ბრძოლა ამ დამოუკიდებლობისთვის და არა ლოდინი, სანამ სხვა ვინმე დალეჭილს პირში ჩაგვიდებდა. როდესაც ერი თავის დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, მაშინ სხვებისაგან უფრო ადვილად შეუძლიან მიიღოს „გარანტია" დამოუკიდებლობისა. დღეს კი, საუბედუროდ, ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, როდესაც ჩვენი პოლიტიკური სახე და მისწრაფება აღარა ჩანს. ამიტომ ადვილად შესაძლებელია ჩვენი ქვეყანა დაინტერესებულ მებრძოლ სახელმწიფოთა სათამაშო ბურთად გადაიქცეს და ამ პოლიტიკურ შეჯიბრებაში საუკუნოდ დასამარდეს ჩვენი პოლიტიკური თავისუფლება. სასაცილოც არის ფიქრი იმის შესახებ, რომ ერი, რომელიც მთელი ათეული წლების განმავლობაში თავისი საკუთარი ეროვნული თავისუფლების წინააღმდეგ ლაპარაკობდა, ერი, რომლისთვისაც განთავისუფლება მიზანი კი არა, ტაქტიკური ამოცანა ყოფილა,—ამისთანა ერი ერთბაშად ეროვნულ იდეას მსხვერპლად შეეწიროს. გარანტია იმას შეუძლიან მოითხოვოს, ვინც უგარანტიოდაც იბრძვის თავის თავისუფლებისთვისა და დამოუკიდებლობისთვის.

ნ რკევი

ბაქოელ ბოლშევიკთა ორგანო „საბჭოს უწყებანი" თავის მეთაურში და „დაშნაკციუტუნის" ბაქოელი წარმომადგენელი ნურიჯანიანი ერთნაირი უარყოფით უყურებენ ტფილელ მენშევიკებს.

ბოლშევიკური ორგანო სწერს: „ტფილისში მენშევიკებს მემამულეებთან სასიყვარულო ალიანსი აქვთ გამართული. საოლქო ცენტრი, როცა იგი სვამს საკითხს დემოკრატიის დაიარაღებისას და საბჭოს ხელახალ არჩევნებისას, მოქმედებს „მუსავათის" ზეგავლენით და მის ნება სურვილს აღასრულებს. ტფილელი მენშევიკები ბოროტად განაგრძობენ სვლას იმ გზით, რომელიც დაუსახა მემამულეთა კონტრ-რევოლიუციამ. ტფილელებს უნდათ პირველი საბჭო ზაქისი ქონებად გადააქციონ, გადააქციონ ჩუმ და უწყინარ ორგანოდ, რომელსაც უდრტვინველი სახე და მენშევიკური ხერხი ექნება შეთვისებული".

ბაქოელი დაშნაკელი ნურიჯანიანი კი არსებითად იმავე აზრს შემდეგი სიტყვებით გამოსთქვამს:

„კავკასიაში ყოველთვის იბორონცები მოქმედებდნენ, რომელნიც მშრომელ ხალხს აწუხებენ. მე ვიყავ ტფილისის სეიმში. მენშევიკები სავსებით ემორჩილებიან „მუსსავათს", რომელიც მბრძანებელის ენით ლაპარაკობს,

ამბობენ, რომ ქართველი ხალხი მენშევიკებს მიჰყვებაო. ეს ტყუილია. ამიერკავკასიის სეიმი და კომისარიატი შესძულდა მშრომელ მასსას, რომელიც ელის იმათ გადაყენებას ბაქოში დაწყებული ნამდვილი რევოლიუცია მთელ ამიერკავკასიას მოედება. ამ რევოლიუციის განვითარებაში, სამოქალაქო ომის გაძლიერებასა და გაღრმავებაში ჩვენ თქვენთან ვიქნებით და ყოველ ნაირად მხარს მოგცემთ.

ლამაზი სიკვდილი

(გიორგი ქუბაბრიას ხსოვნას).

რა სადად და რა მარტივად მოგვივიდა ცნობა გიორგი ქუბაბრიას სიკვდილის შესახებ. რა სადად და რა მარტივად შევხვდით ჩვენც ამ ცნობას, ჩვენ, მისი ამხანაგები. თითქოს ეს ასეც უნდა მომხდარიყო. და ამ მოლოდინს ხომ ჰქონდა ნიადაგიც. ჯერ კიდევ ბევრ ამგვარ ცნობებისთვის გვაქვს მომართული ჩვენი ლოდინი. მაშ სხვა რა ცნობა უნდა მოგვივიდეს ბრძოლის ველიდან? სიკვდილის ცეკვამ ამ გვარი ყვავილების ფანტვა იცის. და ჩვენდა სამედისწეროდ იგი სიკვდილი ჩვენ მიწაწყალზე უვლის ფერხულს. მის პირი პირ წარდგენილია მთელი ჩვენი გაწვრთნილი ახალთაობა. სიკვდილი მოდიოდა საქართველოს სასიკვდილოდ, და სხვა ვინ გადუდგებოდა გზაზე, თუ არ ქაბუკ ცეცხლით ანთებული გონიერი ახალთაობა. გაუხარელ საქართველოს, მაშ ვინ ეტყოდა იმედიან სიტყვას, თუ არ წამოზრდილი შვილები, მკლავს რომ იმაგრებდნენ ხმლის ძალუმად მოსაქნევად, მტრის გასაკვეთად. ქვრივმა საქართველომ, რომელმაც თალხის გამოცვლა ვერც—კი მოასწრო, ეხლა შვილები გაგზავნა ბრძოლის ველზე, და ელის მათ სიკვდილს. საქართველოს თავისუფლების სამრეკლოდან გლოვის ზარს მოუხშირეს, და სამარ ყუენაში გაბმული კვნესა შეიჭრა. ეს არც ასე უჩვეულოა ჩვენთვის. ქართველი ერის არსებობა ამგვარი კონტრასტებში იშლებოდა. და ვერც საფლავთა გამრავლება გაგვაოცებს. კუბოთა რიგს გულცივათ ვხვდებით. ჩვენ ამას ისტორიულად შევეჩვიეთ. და თუ მაინც მწარე კივილი აღმოგვხდება ხოლმე გულის სიღრმიდან—მაშ რა ვქნათ? გაბმულ კვნესას ოხვრაც თანა სდევს. ან როგორ არ დავარღვიოთ მწყობრი გოდება, როცა მტრის ტყვია უსახლოეს და უუსაჭიროეს ამხანაგის გულში ცივდება? გიორგი ქუბაბრია, ჩვენი ლამაზი ენტუზიასტი, საქართველოს სიყვარულით სნეული.—მამაც მსხვერპლთა შორის მოექცა იგი, და ჩვენი ერის თავისუფლების მტრებს შეაკვდა. იქ, სადაც საქართველოს საფრთხეზე ალაპარაკდნენ. მან პირადი სიკვდილის შიში დაჰკარგა. და გრძნობა ანთებული გადაეშვა სიკვდილის ცივ ნირვანაში.

მე ის ამ 5 წლის წინად პეტერბურგში გავიცანი—ერთად ვმუშაობდით. ენერგიული, დარბაისელი, მკვირცხლი, დაუზარელი, და ოცნებობდა საქართველოს დაშორებული, მაგრამ სულით მასთან უფრო დაახლოვებული, უკეთ: საქართველოსთან შესრულებული. პეტერბურგში იყო ეს ამბავი 6 კაცი, ამხანაგები უკანასკნელად შევიკრიბენით და ვეთხოვებით ერთმანეთს. მახსოვს მისი ფიცი.—გვეფიცებოდა, რომ საქართველოში იგი იბრძოლებს პირველ რიგში, და უშიშრად შეხვდება სიკვდილსაც კი, თუ კი ეს საქართველოს საკეთილოდ შეიქმნებაო. და ისეთი გრძნობით გვეფიცებოდა, ისეთი აღფრთოვანებით ელვარებდა მისი მზიანი სახე, რომ უნებურად აგვალაპარაკა ყველანი, და ფიცზე ფიცით უპასუხეთ. მან ფიცი შეასრულა.

მინდა მრწამდეს, რომ თქვენ საფლავებზე საქართველოს თავისუფლების ეტლი გადმოივლის, და ამის მოლოდინში ძვირფასო ამხანაგო, შენი სიკვდილის საცნობად გლოვის ზარს არ ჩამოვკრავთ. შენი სიკვდილით ჩვენ სიკვდილს ვისწავლით, და თუ შენ ფიცი შეასრულე, ჩვენცა გვსურს ფიცი შევასრულოთ. გლოვის დრო არა გვაქვს, და შენ ხომ ასე ფიქრობდი. რადროს პირადი გლოვაა, როდესაც საქართველოს თავისუფლებას ლეწავენ? არ დავალეწინებთ.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

რადიო-დეპეშები

გერმანელების ცნობა

ბერლინი. 19 აპრილი. ბრძოლის ველზე ახალი არაფერია. მორეილის ჩრდილოეთ-დასავლეთით ფრანგთა ჯარებმა გუშინდელ დაზიანების შემდეგ თავის იერიშები არ განაახლეს.

პალესტინის ფრონტი. ჩვენი გმირი რაზმები გარს შემოერტყნენ ჩვენ პოზიციის წინ მდებარე ადგილს. ზოგ ადგილზე ინგლისის დარაჯები უკან წავწიეთ. ინგლისელთა თხოვნით 2 საათით შერიგება მოვახდინეთ, რადგანაც ისინი დიდ ძალ დახოცილებს ასაფლავებდნენ.

კავკასიის ფრონტი. ბაშკალასა და დეირს ჩვენი ჯარები გარს შემოერტყა, ვანის ოლქი განთავისუფლებულია. ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი ყარს შემოერტყა.

ავსტრო-უნგრეთის და გერმანიის ცნობა.

დასავლეთის ფრონტი. ფლანდრიის ბრძოლის ველზე ბრძოლა სწარმოებდა ჩვენსა და ინგლისელ და ბელგიელ ჯარებს შორის. მტრის ძლიერი იერიშები ვიტცშეიფზე მოვიგერიეთ. იერიშების დაწყებისთანავე მტრის არტილერია დიდათ დაზიანდა. ბოიე და არხი ლაბასეს შუა ძლიერი არტილერიის მოქმედებაა ორივე მხრით. ჩვენმა ქვეითა ჯარმა ბეტიუნთან (ლაბასეს არხის ჩრდილოეთით რომ მდებარეობს), მტრის ხაზისკენ წაიწია.

ჟევანშისთანა ბრძოლის დროს 600 ტყვეზე მეტი წამოვიყვანეთ, ფრანგთა იერიშებმა მორიზელზე და მოსელზე, რომელისთვისაც რამოდენიმე დღე ემზადებოდა იმათი არტილერია, იპრის ორივე მხრივ უნაყოფოდ ჩაიარეს. ბრძოლის შემდეგ მტერი დიდათ დაზიანებული უკუვაქციეთ. არტილერიის მოქმედება ამ ღამის განმავლობაშიაც სწარმოებს.

აღმოსავლეთის ფრონტი, უკრაინა ჩვენი ჯარი გარს შემოერტყა ჩაპლინკს და მელიტოპოლს.

საღამოს დეპეშები

1918 წლის. 6 აპრილი 17 ს.

ხარიჯამიშის მიმართულებით: დღეს ოსმალოებმა, გათენებისას იერიში მიიტანეს სელიმის სადგურზე. ამ რაიონში ცხარე ბრძოლაა.

ყაზიზმანის მიმართულებით ოსმალოებმა ნისლით ისარგებლეს და დღეს 3 ნახ. საათზე იერში მიიტანეს ყაზიკაის მთაზე, რომელიც 10 ვერსზეა დაშორებული ბერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით და 8 საათზე მთა დაიკავეს.

1918 წლის 7 აპრილი. 12 საათი.

ზღვის სანაპიროებით, 6 საპრილს 10 საათზე მტერმა საარტილერიო ცეცხლში გახვია ჩვენი პოზიცია, რომელიც მდ. ჩოლოხის რკ. გზ. ხიდთან იყო. შემდეგ დიდი შეკავშირებული ძალებით შემოგვიტია, მაგრამ მას წინააღმდეგობა გაუწიეთ თოფების, ტყვის მფრქვევლებისა და არტილერიის ცეცხლის საშუალებით. ამის შემდეგ მტერს შეტევა აღარ განუახლებია.

ხარიჯამიშის მიმართულებით 6 აპრილს მტერმა დიდი ძალებით და არტილერიით შეტევა დაიწყო ერთი ჩვენი პოლკის წინააღმდეგ, რომელიც მარჯვენა ფლანგით იყო ახალ სელიმის ბანაკში. ფრონტი გაარღვია, რის გამო პოლკის ნაწილმა აღმოსავლეთით დაიხია. სირიჯამიშისა და ყალიზმანის შარა გზების შუა მტერმა იერიში მიიტანა ჩვენს პოზიციებზე დოლბანტლთან. მარცხენა ფლანგზე ჩვენმა ნაწილებმა შეუტიეს და დაიკავეს ყაზი-კაის მთა, რომელიც წინა დღით დაჰკარგეს. შემდეგ დაედევნენ ოსმალოებს, რადგან ისინი მარჯვენა ფლანგს ემუქრებოდნენ. რადგან ფრონტი გარღვეულია ჩვენ ნაწილებს ებრძანა ახალ პოზიციებზე დაიხიონ.

მონათესავენი

დღევანდელი ყოფა-ვითარება საერთოდ ამიერკავკასიისა და კერძოდ ჩვენის საქართველოსი ისეა საბედისწეროდ გამწვავებული და ისეა რთული თავის შედეგებით, რომ იგი ძალაუნებურად იზიდავს ადამიანის გულისყურს.

ომი თუ ზავი ოსმალეთთან ეს ისეთი საკითხია, რომელიც ხელ ახლა აყენებს არა ნაკლებ შედეგებით მდიდარს საკითხს ორიენტაციისას, რადგან ეს ორი საკითხი ერთი-მეორესთან მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ხოლო ასეთი დაკავშირება ორ საკითხისა ხდება უმთავრესად იმ წრეებში, რომელნიც ადვილად ვერ შერიგებიან იმას, რაც უკანასკნელ თვეებში სწარმოებს ამიერკავკასიის საზღვრებში.

საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა სეიმში ამ ერთი თვის წინად ისე მტკიცედ იყო წამოყენებული, რომ მისი ხელმეორედ გამოტანა საკამათო ასპარეზზე ყველას შეუძლებლად მიაჩნდათ და, მცირეოდენის გამოკლებით, დღესაც მიაჩნიათ. ამ საკითხის სეიმის სხდომაზე განხილვით პრინციპიალურად უკვე მიღებული იყო ამიერკავკასიის ორიენტაცია, ე. ი. უარყოფილი იყო როგორც ოსმალეთისა თუ გერმანიის ორიენტაცია, რუსეთის ორიენტაცია.

მიუხედავად საკითხის ერთხელ და საბოლოოდ გადაჭრისა და პრინციპიალურ გარკვევისა, ჩვენს ქვეყანაში არის ელემენტი, რომელიც ადვილად ვერ შეურიგდება ამიერკავკასიის, ამ „დიდი რუსეთის" თვალსაჩინო ნაწილის, რუსეთისგან ჩამოშორებას და საკუთარ ორიენტაციის წარმოშობას. ასეთ ელემენტს წარმოადგენს არა მარტო ის ჩინოსანი რუსობა, რომელსაც თავი მოუყრია „ნაროდნაია სვობოდას" გარ-

დემოკრატიის დამარცხება

ბათომის დაკარგვამ საზოგადოებაში ატმოსფერა ფრიად დამძიმა. დაუსრულებელი მითქმა-მოთქმაა ხალხის სხვა და სხვა ნაწილს შორის. ზერელედ მოაზრენი პროვოკაციის ხმებს მისდევენ და ათასგვარით ჭორითა აშუქებენ დიდ საზოგადოებრივ საკითხებს. ერის უფრო მოფიქრებული ნაწილი ღრმად უყურებს საგანს ცდილობს მოვლენათა საფუძვლების შესწავლას და სასურველ პოლიტიკისათვის სწორი აზრის გამონახვას. პირველს ვერ მივაქცევთ ყურადღებას, ის იქ არის, სადაც ველური ინსტიქტია დაუდებული, მეორე აზროვნების ხალხია და ანგარიშს უწევთ.

ეს მოაზროვნე ხალხი ბათომის დაცემით ძალიან არის დაფიქრებული. ამაში ხედავენ აზიის მოედანზე არა მარტო აფრიალებულ დროშას, დემოკრატიულ საზოგადოების სრულს გაკოტრებას, დამარცხებას, მის უორგანიზაციობას და შეუსაბამობას. მარჯვენით დღეს გამალებული იერიში მოაქვთ დემოკრატიის პრინციპების მოსასპობად და ცდილობენ მრავალი ფაქტი ხელოვნურად გამოიყენონ ამისათვის.

ჩვენს საზოგადოებაში მართალია ბლომად მოიპოებიან სოციალისტები. მაგრამ დემოკრატობა ეხლა თითქმის ყველასათვის სავალდებულოდ იყო გამოცხადებული. თვით თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველი გაზეთი „საქართველო" ეროვნულ-დემოკრატების გაზეთად არის მონათლულ ამავე დროს. გარეგნულად გვეგონება, რომ დემოკრატიზმის გაკოტრება საქართველოში მაინც შეუძლებელია, აქ დემოკრატიზმი უკვე უკიდურესი მემარჯვენე ფრთაა, მაგრამ შევცდებით თუ ამ გარეგნულ ლამაზ სურათს დავემყარეთ. თვით ის წრეები, რომელნიც პროგრამებში დემოკრატიზმის დროშას აფრიალებენ, ხოლო კრებებზედაც გაიძახიან დემოკრატიულ სიტყვებს გამალებით ხელს უწყობენ ყოველ დემოკრატიულ სულისკვეთების აღმოფხვრას და ერის კულუარებში საშინელ რეაქციას ამეფებენ.

ბათომის დაცემა—დემოკრატიზმის საბოლოო გაკოტრებაო—ამბობენ ფთხილად მოაზროვნენი.

— აი თქვენი დემოკრატია, რომელმაც მიუვალი ციხეც ვერ დაიცვაო— გვიმტკიცებს უფრო გაბედული დემოკრატი, რომელსაც დემოკრატია მხოლოდ ყელზევით და ენის წვერზე აქვს წაკერებული.

ჩვენი საზოგადოების დასახასიათებლად დღეს—სამწუხაროდ, პრესა ძალიან ნაკლებად გამოგვადგება. როგორღაც პრესას და ოფიციალურ კრებებს დიპლომატიური გაიძვერობის ნიშანი დაეტყო და ორატორები იმას ლაპარაკობენ პრესაში და კრებაზე რასაც ქუჩაში და თვით ხალხში უარყოფენ. ეს იმიტომ ხდება ასე, რომ ჯერ კიდევ არ გაკოტრებულა დემოკრატია იმდენად, რომ დემოკრატიის ყოველ მოძულეს თამამად შეეძლოს გულის ნადების თავისუფლად გადაშლა და ეს რეაქციონერები დარბაზებიდან უჩინარი სახით გადიან ქუჩაში, შესახვევებში და პაწია მიტინგებით ამზადებენ საზოგადოებრივ სულისკვეთების ნიადაგს. თანამედროვე ხალხის სულისკვეთების გასაცნობად „ახალ-კლუბის" კუნჭულები და „ფრასკატის" ბრჭყვიალა დარბაზი მეტს გეტყვით, ვიდრე „ერთობის" რედაქცია და გინდ „საქართველოს" რედაქცია.

ამ ვაკხანალიაში აშკარადა ჩანს ჩვენი დემოკრატიული სისუსტე. არც ერთი მტერი ისე საშინელი არ არის რევოლიუციის და დემოკრატიისათვის, როგორც ეს რეაქციონური განგაში გახულიგანებულ საზოგადოების ნაწილისა ხალხის ფართო მასაში. და ამ თავ-აშვებულ რეაქციონერ კამპანიას დემოკრატია ვერა სძლევს, ვერ სდევნის და ვერ ახშობს. აი აქ არის ჩვენი დემოკრატიის სისუსტე.

რეაქციონერების გამალებულ სისინს ძალიან დიდი გასავალი აქვს ხალხში. რეფორმები გვინდოდა და დეკრეტები მივიღეთ, მართველობა გვინდოდა და დიქტატურა გამოაცხადეს, წესიერებას მოითხოვდნენ და ანარქია მიიღეს, სიძვირეს ემიებოდნენ და სიძვირე გაამწვავეს. უპურობა, უფულობა, უმინობა, სრული სიმშილი— აი რა დეჰყვა თან „რევოლიუციას. მართალია დემოკრატიას დაუძლეველი დაბრკოლებანი შეხვდა მოღვაწეობის ასპარეზზე, მაგრამ პასუხისმგებელმა დემოკრატებმა იმდენი დაპირება გადაისროლეს ხალხში, რომ ობიექტიურ პირობების ქადაგება ხალხში ვეღარ მისწვდება და უპურობა და უფულობა კი სამარეს გაუთხრის თავისუფლებას.

დღეს ჩვენს წინაშე მეტად დიდი საქმეებია გასაკეთებელი. სადავო საკითხებიც გვაქვს, მაგრამ კრიტიკული მომენტი უდგება ერთ საერთო ფრონტს —დემოკრატიულ აზროვნებას, დემოკრატიულ შემოქმედებას. სამშობლოს საზღვრებში უკვე შემოიჭრა მტერი და ანიავებს ქვეყანას და რევოლუციას, შინ კი მრავალი წიწილი დაძრწის რეაქციისა და თავის სისინით ღუპავს რევოლიუციასაც და სამშობლოსაც. ასეთი მდგომარეობა მეტად აუტანელი და უმწეოა, ჩვენ იძულებული ვართ დღეს ისევ საშინაო დემოკრატიულ ფრონტზე დავილაპარაკოთ რათა პრესის გავლენით ავლაგმოთ რეაქციონერთა სასტიკი გამოლაშქრება.

როგორადაც არ უნდა შევეხოთ რეაქციონერთა ანტი-დემოკრატიულ კამპანიას, მარტო ზიზღის და სიძულვილის გამოცხადებით ვერ დავაკმაყოფილებთ საზოგადოების იმ საგრძნობ ნაწილებს, რომელნიც უკვე გაეხვიათ რეაქციონურ განგაშში. მოვალენი ვართ დემოკრატიის ზოგიერთ შეცდომას ანგარიში გაუწიოთ რადგან დემოკრატიის ზოგიერთ დებულების და ფრთის გაკოტრება სრულიადაც არ ნიშნავს საზოგადოდ დემოკრატიზმის იდეის გაკოტრებას.

ყოველ შემთხვევაში, რეაქციის ფრთას და ორჭოფ ხალხს ერთი რამ უნდა ახსოვდეს მუდამ: თანამედროვე ცხოვრების ტრაგედია არის ნაყოფი არა დემოკრატიის შემოქმედებისა, არამედ იმ თვითმპყრობელობისა და რეაქციისა, რომელიც რუსეთში მეფობდა 1917 წლის თებერვლამდე. დემოკრატიზმის სასიქადულოდ უნდა გამოვაცხადოთ ერთი ცნობილი ფაქტი: თანამედროვე ომში გამძლეობა სწორედ დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა გამოიჩინეს. ვინ დამარცხდა ამ ომში?—რუსეთი და ოსმალეთი!—ეს ორი კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი სახელმწიფოებია ევროპაში, ხოლო გამძლეობა და გამარჯვება ევროპის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა გამოიჩინეს. გერმანია ტიპიური სახელმწიფოა მსოფლიოში სადაც სოციალურ-დემოკრატიული კანონმდებლობა საუკეთესო პირობებშია ჩაყენებული. საფრანგეთი და ინგლისი სწორედ დემოკრატიზმის დაცვით არ გაიპო, არ დაიმსხვრა რუსეთივით. სადაც დემოკრატიული დისციპლინა, ორგანიზაცია და ხალხის მეტი კმაყოფილებაა იქ სახელმწიფონი ახერხებენ არსებობას, ხოლო რეაქციონური სახელმწიფოები არიან ბუდე უდისციპლინობისა, გულუბრყვილო მართველობისა, გულუბრყვილო დემოკრატიზმისა და აქ დემოკრატიის უეცრივი მოვლინებაც ვერა შველის მდგომარეობას.

რეაქციის წიწილები დემოკრატიას მოსთხოვენ საუკუნოებით შექმნილ სიდუხჭირის არა მარტო მოსპობას, ცხოვრების განკურნებასაც, ერთბაშად სამოთხის დამყარებას საშინელ ომისა და სიდატაკის შემდეგ. ამ მოთხოვნილებას ვერც ერთი წრე საზოგადოებისა ვერ დააკმაყოფილებდა და ვინც უნდა ჩასდგომოდა ცხოვრების სათავეს ხალხის მოთხოვნილებას სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა.

რუსეთის და ჩვენი დემოკრატია ამ მხრივ ინაწილებენ ყველა შესაძლებელ და მოსალოდნელ სისუსტეს, მაგრამ— ვამბობთ—ჩვენს დემოკრატიას ერთი რამ თავიდანვე დასჩემდა, რომელიც სპეციფიურ რუსულ სისუსტედ უნდა ჩავთვალოთ: ესრედ წოდებული გულუბრყვილო დემოკრატიზმი, გულუბრყვილო ჰუმანიზმი—ოტტო ბაუერის ტერმინით რომ ვისარგებლოთ. ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში გულუბრყვილო ჰუმანიზმს კაი ხანია განვლო დემოკრატიამ და ყველა დემოკრატი, მთელი მუშათა კლასი რეალურ დემოკრატიულ და ეროვნულ პოლიტიკას ანვითარებს უბრალო ჰუმანიზმის და კოსმოპოლიტიზმის ნაცვლად.

არც ჩვენ უარვყოფთ დემოკრატიის სისუსტეს ჩვენში. საქართველოში დემოკრატიის აზროვნებას ძალიან ახასიათებდა პრიმიტიულ პსიქოლოგიის გავლენა, გულუბრყვილო ჰუმანიზმი და ნიჰილიზმი. და თუ დემოკრატიის სისუსტე თვალსაჩინოა ყველასათვის, ეს არის იმ დემოკრატიის სისუსტე, რომელიც გულუბრყვილო ჰუმანიზმით და პრიმიტიული კოსმოპოლიტიზმით იყო შებოჭილი.

ყველაზე დიდი საქმე, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ დემოკრატიას უნდა გაეკეთებინა—იყო და არის რეფორმა შინ, ომი მტერთან. ორივე ეს მიზანი მოითხოვდა დემოკრატიულ დისციპლინას შინ და ეროვნულ ენტუზიაზმს მტერთან ბრძოლაში. მაგრამ სამწუხაროდ სოციალ-დემოკრატიულმა დემოკრატიამ ვერც ერთი ეს მიზანი ვერ გაამართლა, ვერ შეასრულა და ამით შექმნა საზოგადოდ დემოკრატიის კრიზისი. ბათომის კატასტროფა დიდი ილიუსტრაციაა სოციალ-დემოკრატიულ შემეცნების და პრაქტიკის კატასტროფისა. ჩვენ მოგვაგონებთ ტრაპიზონის ქართველ ჯარისკაცთა ძალიან დამახასიათებელ ამბავს. სამშობლოს დაბრუნებისას ქართველი ჯარისკაცები საქართველოში კი არ აპირებდნენ დაბრუნებას, უმჯობესად მიაჩნდათ რუსებთან ერთად სამშობლო—რუსეთში გაჰყოლოდნენ ძმა-რუსებს. იყო შემთხვევა, რომ ქართველი მიდიოდა ბარგი-ბარხანით, იარაღით, ზარბაზნით რუსეთში და იქ და იმ ძვირფას მასალას, რომელ-

შემთ და რომელიც თავის ურა-იმპერიალისტურ სულისკვეთებას, ხელწასულ ამიერკავკასიისკენ მიმართულს, არამედ აქაური რუსობის ისეთი ნაწილიც, რომელიც სარევოლუციო დაწესებულებებში თვალსაჩინო როლს თამაშობს, ემსახურება და ცხოვრებაში ანხორციელებს იმ მიზნებს, რომელნიც იმპერიალისტურ რუსეთს ემსახურებიან. ეს ნაწილი აქაურ რუსობისა მესვეურობს ცენტრის ორგანოს—„უწყებებს“ და თვის ფიზიონომიას ნელინელ ამჟღავნებს იმ წერილებით, რომელთაც იგი სისტემატიურად ათავსებს გაზეთში.

„ნაროდნაია სვობოდას“ შაბათის №-ში (38) საფელეტონო წერილით მ. ეზერსკი არკვევს კავკასიის ერთა ორიენტაციას, იხსენიებს თუ რა შედეგი მოჰყვება კავკასიის თვითეულ ერისთვის ოსმალეთთან ზავის დადებას. ერთის მხრივ დაუნდობელი ოსმალეთი და მის ზურგს უკან ყველაფრის და ყველას ჩანმთქმელი გერმანია, ხოლო მეორეს მხრივ ყველას დამაკმაყოფილებელი, გულშემატკივარი და ჩაგრულ ერთა მამა-მფარველი რუსეთი, რომლის პოლიტიკური სახე სამომავლოდ ყველა ჩვენთათვის უცნობია,

ორიენტაციის საკითხი აქაურ კადეტებისთვის ეჭვს არ იწვევს. ომი ოსმალეთს, კავშირი რუსეთთან, დავიწყებას მიეცეს ქართველობის მხრივ თვითმპყრობელი რეჟიმის და სრული დაიმედება, რომ რუსეთში რეაქცია არ გაიმარჯვებს.

ომი, ეზერსკის სიტყვით, ოსმალეთს კიდევ იმიტომ უნდა გამოუცხადდეს, რომ შეიძლებოდეს მომავალ მსოფლიო კონგრესზე რუსეთთან პირნათლად წარდგომა და თქმა: მართალია დავზარალდით, მთლად ამოვწყდით ოსმალეთთან ბრძოლაში, მაგრამ სულმოკლეობა არ გამოვიჩინეთ, ხვალინდელ ქათმისთვის დღევანდელი კვერცხი უკუვაგდეო.

საბრალო კადეტებს, მილიუკოვის მინიატურებს ავიწყდებათ ერთი რამ, რაც შეუძლებლად ჰხდის ერთხელ უკვე პრინციპიალურად გადაჭრილ საკითხის კვლავ შებრუნებას და საპაექროდ გამოტანას, ავიწყდებათ, რომ საქართველომაც, რომელსაც ეზერსკის სიტყვით, ალა-მაჰმადხანისგან დედაქალაქის აოხრება დავიწყებისთვის მიუცია, და ადერბეიჯანელ თათრობასთან ერთად, სომხობამაც, რომელსაც აგრესიულ მწერლის აზრით ჩარხ-ფაჭრის შემგუებელი და შემწყნარებელი, კეთილშობილი ინგლისი უნდა ერჩიენოს იმ გერმანიას, რომელსაც ვაჭრობაში გარეშე შავი მუშისა და საზარბაზნე ლუკმისა სხვაფრივ სომხობა არ აინტერესებს, —ყველა ამ ერმა თვისი სიტყვა სეიმში უკვე სთქვა: თავისუფალი ამიერკავკასია, საკუთარი ორიენტაცია.

მაგრამ ნათქვამია კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“. ამისთვის არც მოულოდნელია ჩვენთვის ასეთი მოთქმა ამიერკავკასიაზე, რომელიც აშკარად გამოსჩანს იმპერიალისტ ეზერსკის სიტყვასა და სიტყვას შუა, და არც გასაოცარი... რაღა თქმაა საჭირო, რომ რუს იმპერიალისტისთვის სხვა, გარეშე რუსეთისა, ორიენტაცია არ არსებობს. დაე ეს რუსეთი იყოს ბოლშევიკური, ანარქიული და თუნდ რეაქციონური, ყველა ერის ჩანმთქმელი და შემგინებელი. პოლიტიკური ფორმა მომავალ რუსეთისა, რომელიც შეიძლება სამუდამოდაც ისტორიას ჩაჰბარდა, ჩვენებურ კადეტებს არ აინტერესებს და არც არსებობს იგი, როგორც საკითხი.

მოულოდნელი და გასაკვირველი ჩვენთვის იყო ასეთივე ჰანგების აჟღერება მეორე ბანაკში, რომელიც ინტერნაციონალისტურ და სოციალისტურ ქურქით ევლინება ხალხს და ნამდვილ იმპერიალისტებს, ხალას რუს შოვინისტებს ბევრს გულუბრყვილოს ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრებად და წრფელ მზრუნველებად ეჩვენებიან.

იმპერიალისტურ ჰანგების ჟღერა ჩვენთვის იმდენად არის და იყო მოულოდნელი, რამდენადაც ეს კადეტებთან შეხმატკბილებული მელოდია გაისმის სოციალისტურ და ინტერნაციონალისტურ კონცერტში, თუმცა მათი ფიზიონომია ჩვენთვის უჩინარი და დაფარული აროდეს ყოფილა.

არც ეს ბანაკი ცენტრის ორგანოს —„უწყებიება“ მეთაურის პირით ურიგდება მომხდარს სეპარაციას ამიერკავკასიისას. ეს სოციალისტ-შოვინისტები კვლავ ნუგეშიანად უხატავენ მომავალ რუსეთთან კავშირის სურათს, უხვად თანხებს იძლევიან, რომ ომის წარმოებით ჩვენ რუსეთზე დაიმედება შევძლიან, რომ ამით ჩვენ არ შევსწყვეტთ კავშირს რუსეთის დემოკრატიასთან. რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა არის ოსმალეთისგან დამოკიდებულებაო.

ტყუილია, ბატონნო სოციალისტ-შოვინისტებო, მოთქმა-ვაებანი იმაზე, რაც მოხდა სწორედ იმ მიზნით, რომ შეგვენარჩუნებინა რევოლუციით მოპოვებული თავისუფლებანი და თავიდან აგვეცილებინა ის ანარქია, რომელიც დღეს რუსეთის დემოკრატიას აქვს შავრაზმულ ბოლშევიკურ რუსეთში დამკვიდრებული. „იზვესტიის“ მეთაურებს შეუძლიანთ თამამად ხელი გაუწოდონ „ნაროდნაია სვობოდის“ ეზერსკებს და სულით გაიხარონ, რომ მათში, ამ აშკარა რუს იმპერიალისტებსა და შოვინისტებში იპოვეს მათ მოკავშირენი, რომ მათთან აქვთ დიდი სულიერი ნათესაობა. ამას ცხადად ამტკიცებს ის ლამაზი დუეტი, რომელიც თავმოსწონედ გაისმის ორ დიამეტრალურად მითომდა მოწინააღმდეგეთა ბანაკში — სოციალისტურ ორგანოში ერთის მხრივ და კადეტურ „ნაროდნაია სვობოდა“-ში მეორე მხრივ.

თავი მოიწონე ხმა-შეწყობილო დუეტო!

მ. ზ.

საქართველოსა და ამიერკავკასიის დასაცავად იყო საჭირო. ასეთი გულუბრყვილო ჰუმანიზმი და კოსმოპოლიტიზმი აშკარად პატოლოგიური თვისების არის და ამ სენით დაავადებული იყო მთელი დემოკრატია ქართველი ერისა. ასეთი წრის დემოკრატია, რასაკვირველია მიდამოს დაკარგვაში ვერ დაინახავდა სამშობლოს ტრაგედიას და მართლაც ბათომი ასე ადვილად იმიტომ დაიკარგა, რომ ბათომის კალთები გულუბრყვილო ჰუმანისტებს არ აგონებდა სამშობლოს სიყვარულს, ხოლო ოსმალეთის დემოკრატიაში ჩვენი დემოკრატია არ ხედავდა მოწინააღმდეგე მტერს.

ომმა დაგვიმტკიცა, რომ საჭიროა არა მარტო პური, ფული და ზარბაზანი, აუცილებელი მასალაა ომის წარმოებისათვის ეროვნული ენთუზიაზმი, რაიცა არ აღმოაჩნდა ჩვენს ხალხს. სოციალ-დემოკრატიამ ყალბ აზროვნების წიაღში გახვია საქართველოს დემოკრატიის უდიდესი ნაწილი და ამ აზროვნებამ გამოუსწორებელი მავნებლობა—ზარალი მოგვიტანა, მაგრამ ეს კატასტროფა სრულიადაც არ მიეწერება საზოგადოდ დემოკრატიის სიკოტრეს, ვინაიდან ეს სიკოტრე მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ დემოკრატიის ახასიათებს.

საშინაო პოლიტიკის სფეროშიაც სწორედ ეს დაემართა სოციალ-დემოკრატიულ დემოკრატიას. ვერავითარი რეფორმა ვერ გატარდება ცხოვრებაში როდესაც სახელმწიფოებრივ ძალას მტკიცე კურსი არ ახასიათებს, მთავრობის ხშირად გამოცვლა, სამინისტროების კრიზისი უტყუარი ნიშანი სახელმწიფოებრივ პოლიტიკის უძლურებისა და ამ უძლურების წიაღში კი ხალხი შეუძლებელია დაკმაყოფილდეს. სამინისტროს კრიზისი ბიუროკრატიულ რუსეთის დამახასიათებელი იყო, მაგრამ ეს თვისება ახასიათებს სოციალ-დემოკრატიულ რუსეთს და ამიერკავკასიას. ამის ძირითადი მიზეზი სწორედ ის პრიმიტიული და გულუბრყვილო ჰუმანიზმი და კოსმოპოლიტიზმია, რომელმაც მტერთან ბრძოლაში კატასტროფამდე მიგვიყვანა, ხოლო საშინაო ცხოვრებაში ანარქიასა და ეროვნულ ბრძოლამდე.

დიაღ, ამ მხრივ ჩვენ მართლა დავინახეთ დემოკრატიის დამარცხება, მაგრამ ეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ დემოკრატიის დამარცხებაა და არა დემოკრატიზმისა საზოგადოდ და საერთოდ. ეროვნულ-სოციალისტური დემოკრატიზმი, მწიფე გონების ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი გამოიწვევდა შესაძლებელ ორგანიზაციას, დისციპლინას საშინაო ცხოვრებაში, მამულიშვილურ აღტკინებას, ეროვნულ ენთუზიაზმს სამშობლოს დასაცავად და აგვაცდენდა იმ კატასტროფას, რომელიც ასე ხელს უწყობს რეაქციონურ დემაგოგიის ხალხში ფეხის მოკიდებას.

უკანასკნელ მიმართულების მიხედვით ჩვენ თანდათან ვხედავთ დემოკრატიის გამოფხიზლებას, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ ვიდრე ეს მიმართულება დაეუფლებოდეს ცხოვრებას შეიძლება ომისა და რეაქციის ზედმა სულ სხვა მდგომარეობა შეგვიქმნას და ეროვნულ-სოციალისტური დემოკრატიზმის იდეა და პრაქტიკა ისევ იდეალის საგნად გარდაიქცეს...

თედო ღლონტი.

14

ასწიეთ დროშას...

ასწიეთ დროშას, ჩემი სულიც სულ ზევით იწევს!
იარაღისა გამაგონეთ ხმა საამური.
თოფ-ზარბაზანი დღეს ჭეშმარიტ ძმობას გამიწევს,
თოფ-ზარბაზანთან დავდე მტკიცედ პირობა ძმური!

—

მე სულ არარას, უსარგებლოს მეძახდნენ დღემდი,
ცხოველი მზის ქვეშ ნეხვის ჭიად ვიხრებოდი
და, რასაც გულში თავგანწირვით თაყვანსა ვცემდი,
ეფარა მძიმედ უაუგოთა მეფობის ლოდი..
ასწიეთ დროშას... დეე, ნახოს ქვეყანამ ნათლად,
რომ მეცა მქონდა წმინდა აზრი, წმინდა მიზანი—
ასწიეთ დროშას... მსურს იმის წინ დავიწვა სანთლად,
რასაც სთელავდნენ ძენი სიძვის და მიწისანი.

—

სულ სიყვარულს და სილამაზეს ვეძებდი ქვეყნად,
სულ სიყვარული, სილამაზე მწადდა გულითა
და, როცა თოფით ჩემი სული უნდა გაერყვნათ,
თვით თოფსაც ლამაზს ვეძებდი მე სიყვარულითა.
მომწყინდა, დღემდე რაც ცხოვრებამ იწვიმა ჩემზე,
მომწყინდა ცრემლი უნუგეშო, ფუჭი და წყნარი!
დეე, დამეფრქვას ახლა ტყვიად თვით ბრწყინვილე მზე,
დეე, გავიგო ზარბაზნების მტკიცე ხარხარი!

—

თუ არის სადმე, განწირულად რასაც ვეძებდი,
თუ აღარ მეთქმის უიმედოდ „სად ის და სად მე“,
თუ იპოვება ის ჩემთვისაც, გულს რითაც ვკვებდი,
თუ ამა ქვეყნად მეც მელიან, მეძებენ სადმე,
რად არ ვიყვირო ზარბაზნის ხმით, აქა ვარ მეთქი?
არწივის გული ქარიშხალმა რად არ აზაროს?
განა არა აქვს ჩემს გულს ცეცხლი და ასაფეთქი?
განა არა მაქვს იმდენი ხმა, ვემცნო სამყაროს?..

—

ასწიეთ დროშას... ჩემი სულიც სულ ზევით იწევს,
იარაღისა გამაგონეთ ხმა საამური!
თოფ-ზარბაზანი დღეს ჭეშმარიტ ძმობას გამიწევს,
თოფ-ზარბაზანთან დავდე მტკიცედ პირობა ძმური!

ი. მეედლიშვილი.

1918 წ. 5 აპრილი.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

რაზმელების საყურადღებოდ.

ტფილისის ს.-ფედ. მებრძოლ რაზმელებს ევალებათ, დღეს, კვირას, 8 აპრილს, დილის 10 ს. აუცილებლად გამოცხადდნენ პარტიის ბიუროში იარაღით. ყველა რაზმელი უნდა მოვიდეს დანიშნულ დროზე ყოველ მიზეზს გარეშე.

სამხედრო საბჭო

ახალი ამბავი

◆ **დღეს, თორმეტ საათზე, დანიშნულია ეროვნულ საბჭოს სხდომა. განსახილველი საგანია დღევანდელი მომენტი. დასწრება შეუძლიანთ კანდიდატებსაც.**

◆ **სადგურ იორიდან** ხოჭოლავა კახეთის რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტს დეპეშით აუწყებს: „სამ აპრილს მიღებულ დეპეშის შემდეგ სადგ. იორის საერთო კრება დარწმუნდა, რომ ასეთ ძნელ დროს რევოლუციისთვის და სამშობლოსთვის შეუძლებელია ყოველგვარი გაფიცვის გამოცხადება. ყველა ჩვენ, როგორც ერთმა კაცმა, დავადგანეთ ყოველივე დახმარება გავუწიოთ ამხანაგებს, რომელნიც იბრძვიან, და თუ საჭირო იქნა, წავიდეთ იმათთან ერთად საბრძოლველად. დადგენილებას ხელი მოაწერეს ყველა მოსამსახურემ და მუშამ“.

◆ ქალაქის თავმა ნ. ელიავამ მიმართა ამიერკავკ. მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშით: სხდომაზე, რომელიც დანიშნული იყო ლტოლვილების შესახებ, და რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ქალაქთა კავშირი, ეროვნული საბჭოები და მთავრობის პირები, ერთხმად დადგენილ იქმნა, რომ ყველა საქმე ლტოლვილების ეხება ქალაქის თვითმართველობას. მაგრამ პრაქტიკაზე ისევ ისეთი ანარქია სუფევს როგორც ამ დადგენილების წინედ. ყველა თავის ნებაზე სცემს განკარგულებას და თავი მიაჩნია ამ საქმის უფროსად. ამ პირობებში ქ. თვითმმართველობა ვერ შეუდგება დავალებულ საქმეს. აგრედვე ქალაქის მცხოვრებლებიც გახდებიან ასეთ ანარქიის მსხვერპლად, რაც უსათუოდ მოსალოდნელია, თუ საქმე ასე გაგრძელდება. მოვითხოვთ თქვენს ავტორიტეტულ განკარგულებას ამ საქმის გამო, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნება ყოველივე პასუხისმგებლობა ჩამოიხსნას“.

◆ **ახალციხიდან** ქალაქის თავი ზორიანი 6 აპრილს იუწყება: აბასთუმანში ისევ დაიჭირეს ქრისტიანი მცხოვრებლები. მდგომარეობა განწვავებულია. საჭიროა სასწრაფოდ ზომების მიღება.

◆ **ყარსიდან** 5 აპრილს გენ. ნაზარბეგოვი იტყობინება: „გწერთ ეხლა მიღებულ დეპეშის შინაარს ერევნის რაზმის უფროსის სილიკოვისაგან მიღებულს: ჯულფიდან მიღებულ ცნობით ჯავშნიანი მატარებელი შახტახტიდან წამოსული თათრებმა შეაჩერეს. ისინი მოითხოვენ მთელ იარაღს რომელიც მატარებელში არის. გზა ორივე მხრით წამხდარია“.

◆ **ეკატერინოვკიდან** იქაური კომისარი ელიმოვი ამიერკავკასიის მთავრობას აუწყებს 6 აპრილს: „აქ დაიწყო შეტაკება ნაციონალურ ნიადაგზე. მაჰმადიანებია ბრალში, რომელნიც ავრცელებენ ხმას ოსმალოების დაახლოვებაზე. გთხოვთ დაგვეხმაროთ.

◆ **თიანეთიდან** მაზრის კომისარი ლაცაბიძე 6 აპრილს იუწყება: „იმის გამო, რომ სამხედრო ძალები არა გვყავდა შევადგინეთ წითელი რაზმი. გთხოვთ 30 ათასს მანეთს და საჭირო ნივთებს“.

◆ **მსახიობთა დადგენილება.** გასულ ხუთშაბათს ტფილისში მყოფ მსახიობთა კავშირის წევრებს კრება ჰქონდათ ითათბირეს მდგომარე საერთო მომენტის შესახებ და დაადგინეს: მიუხედავად დღევანდელ სამგლოვიარო ხანისა წარმოდგენების მართვა არ შეწყვიტონ რადგან დღესაც ესეთი კულტურული მუშაობა ხალხის გამამხნევებელი და აღმაფრთოვანებელია. ამას გარდა გადასწყვიტეს. რომ მთელი შემადგენლობა კავშირის მსახიობთა მიმდინარე საბედისწერო ომის დროს ემორჩილებოდეს ეროვნულ საბჭოს, და მისი ბრძანებით თუ საჭიროება მოითხოვს წარმოდგენების გარდა გასწიოს სხვა სამსახურიც სამშობლოს დასაცველად.

◆ **წ.-კ. საზოგ. რწმუნებულთა კრება.** კვირას, 29 აპრილს, დილის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1. 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში (§ 18).

2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3. მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ.

4. 1918 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა.

5. მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა (§§ 17,31).

6. სასკოლო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამომცემელი და სამუზეუმო სექციათა არჩევნები.

საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულები (თანახმად წესდების მე 15 მუხლისა).

რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები.

პროვინციებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან რწმუნებულებად.

◆ **გავახსენებთ მკითხველებს**, რომ დღეს დილის 12 საათზე ქართულ კლუბში წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი“. პიესა იდგმება პირველად.

◆ **დღეს დილის ათ საათზე** დანიშნულია ქართულ გიმნაზიაში ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ბუნებისმეტყველთა კრება. ბუნებისმეტყველთ ვთხოვთ კრებას დაესწრონ.

◆ **„ახალი სიტყვა“** გამოვიდა მესამე ნომერი ჟურნალ „ახალი სიტყვისა“. შემდეგი № გამოვა 30 აპრილს ახ. სტილით.

◆ **თავის მოკვლა.** 5 აპრილს, საღამოს 9 საათზე ავტომობილის სახელოსნოში პორუჩ. ივანე ფლოსოვმა თავი მოიკლა.

◆ **შეიპყრეს ანნა გრიგოროვის** ქალი, როგორც მავნე პირი 3 თვით. რახიმ მუსა-ოღლი თამბაქოს ნიხრის დარღვევისათვის.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო ყაჩაღთა ბანდაში მონაწილეობისათვის ბესო გოთაშვილი, კარიჭაშვილი და ალეშკო. ჩხუბისათვის ზ. კობესაშვილი და ს. პავლიაშვილი.

◆ **ქართ. მოხელეთა კრება.** დღეს, 11 საათზედ, ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია ქართველ მოხელეთა მეორე საზოგადო კრება.

გიორგი ჭუბაბრია

ახალგაზრდა ვაჟი, ორი წლის წინად პეტერბურგის უნივერსიტეტის კურს დამთავრებული, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელი, სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წევრი, ჩაფსკვნილი, თმა ხუჭუჭა, ღაჟღაჟა ლოყებიანი, სამშობლოს დასაცველად ზეკარისაკენ გამგზავრებული. დაუღალავი, მოუსვენარი, ღონიერი, თამამი, გატაცებული, ჩვენი კარგი გიორგი, გუშინ ლექტორი, გუშინ აგიტატორი, გუშინ საზოგადო მოღვაწე, დღეს უკვე მეომარი, თოფ ქვეშ დამდგარი რაინდი—მტრის ტყვიით განგმირულია სამშობლოსათვის ბრძოლის სადგურზე.

გიორგი ჭუბაბრია განსახიერებაა ამჟვენებულ საქართველოსი, ის ახალგაზრდა საქართველოს ახალგაზრდა მებრძოლია. აბიბინებული ულვაშები, მოციმციმე თვალები და ღია შუბლი ლამაზ საქართველოს ლამაზ შვილის სურათს შეადგენდა, რომელიც შემოსილი იყო ლამაზი აზრით, ეროვნული სოციალიზმით და ფედერალიზმით.

გიორგი ჭუბაბრიას საქართველოში ბევრი იცნობდა ვინც ცხოვრობდა საქართველოს სიცოცხლით, საქართველოს ჭირითა და ვარამით. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა დემოკრატია იგლოვებს ახალგაზრდა მასწავლებლის დაკარგვას, ხოლო ქართველი ინტელიგენცია ღრმა გულისტკივილით სამარადისოდ აღბეჭდავს თავის ხსოვნაში გიორგის ლამაზ პიროვნებას.

გიორგიმ პეტერბურგში მიიღო უმაღლესი განათლება. ცივსა და ნისლიან პეტერბურგიდან მხურვალე ეროვნული გრძნობა შემოგვიტანა საქართველოში, სადაც ხშირად ავრცელებდა ხალხში არჩილ ჯორჯაძის აზრებს. მაგრამ გიორგი რევოლიუციონურ პარტიის ერთგული რევოლიუციონერი იყო. ის ერთი პირველი წევრთაგანი იყო სოციალისტ ფედერალისტთა პარტიისა, რომელმაც სასშობლოს და რევოლიუციის დაცვა იარაღით ხელში იკისრა.

ზეკარის გადასავალი დიდმნიშვნელოვანი პუნქტია, საიდანაც მშვენიერი გზაა ქუთაისისაკენ. აი ამ გზის სათავეს დაცვა იკისრა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის რაზმმა, სადაც უბრალო ჯარის-კაცის როლში მუშაობდა ჩვენი ამხანაგი გიორგი.

როგორც ვიცით, თათრებმა ჩვენს რაზმს ეს მნიშვნელოვანი პუნქტი წაართვეს. ოც-და-ათ კაცამდე მოუკლეს და დაუჭრეს ზეკარის ჩვენს მცირე რაზმს. ვერ მოხერხდა გიორგის ძვლებითა და სისხლით ამ გადასავალის დაცვა, საქართველოს მოსთხოვენ, რომ ასეთ გადასავლების დასაცავად ბევრი გიორგის ძვლები და სისხლი იქმნას გაღებული.

ლამაზო, სპეტაკო, მშვენიერო გიორგი! იცოდე ჩვენი ამხანაგები საქართველოს სიცოცხლისათვის არ ერიდებიან არც ძვალისა და არც სისხლის გაღებას. სამშობლოსათვის შენი თავდადება გაკვეთილი და გზაა ჩვენი თავდებისათვის. შენ იბრძოდი შენს სიცოცხლეში და ბრძოლა ბევრს შეგვაყვარე შენი მაგალითით. ეხლა ჩვენც ვქადაგებთ შენს სიტყვას და დეე ყველამ იცოდეს [illegible] პატიოსან ბრძოლის შემდეგ, მშობელ ქვეყნის ერთგულთა ძვლებსა და სისხლზე სამაგალითო საქართველო აშენდება შენი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მეგობარი.

ბათომისკენ

3 აპრილი.

—შუადღისას საბოლოოდ ვრწმუნდებით, რომ ბათომი უკვე ჩვენს ხელში აღარ არის. ეს გულს გვიკლავს და არ გვინდა, დავიჯეროთ, მაგრამ ამით საქმეს რას ვუშველით. საჭიროა დრო და გარემოების გამორკვევა, რომ შესაძლებელი გახდეს გალაშქრება ბათომის დასაბრუნებლად.

შესაძლებლობა კი ბათომის დაბრუნებისა ზღაპარი არ არის. პირიქით ყველა მცოდნე პირი დარწმუნებულია, რომ ჩვენი დაკარგული ტურფა მხარე აჭარა ისევ ჩვენ დაგვრჩება, თუ ქართველებს აღმოაჩნდებათ კვლავინდებური რაინდობა და ამ განსაცდელის ჟამს ერთსულოვნად იმოქმედებენ.

ჩვენი მამაცი ამხანაგები გულის ფანცქალით მოელიან იმ წამს, როდესაც მათ ნებას დართავენ, ადგილიდან დაიძრან და ძვირფას სამშობლოს ღრმა სიყვარული დაამტკიცონ.

სანუგეშო ხმები მოდის ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხიდან. იმართება მიტინგები და ერთხმად ადგენენ, რომ ყოველი ქართველი მოვალეა თავი დასდოს სამშობლოსათვის, სიტყვას საქმე მოსდევს და ვისაც შეუძლიან ყველა ეწერება სამშობლოს დამცველთა რაზმში.

დღეს სამტრედიაში ჩამოდის ჩვენი პარტიული ამხანაგი გოჯა ლომთათიძე და კარგი ამბავი ჩამოაქვს ქუთაისიდან. კვირას იქ დიდი მიტინგი გამართულა და ხალხს ფიცი მიუცია, რომ მტკიცედ აღასრულოს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. გოჯასთან ერთად ამ დღეს ჩამოვიდა საგანგებო რაზმი, რომელსაც შეადგენენ ყველა ქართულ პარტიის რაზმთა წევრები.

საინტერესოა გოჯას საუბარი. მას თვალებიდან ცეცხლი სცვივა და გულით ნატრობს ომში ჩქარა წასვლას. იგი კიცხავს იმათ, ვინც იძახიან, რომ ომში უპირველესად ნასწავლი ხალხი უნდა წავიდესო.

— ნასწავლმა ხალხმა—ამბობს გოჯა თავისი საქმე პირნათლად შეასრულოს.

მათგან მეტი ჩვენ არა გვინდა რა. ჩვენ კი ჩვენი საქმე ვიცით. პირველად ჩვენ ვეკვეთებით მტერს და ამით სამსახურს გაუწევთ სამშობლოს თუ ჩვენ, რომელთაც იარაღის ხმარება უფრო ვიცით, დავმარცხდებით, ან სისუსტეს ვიგრძნობთ, მაშინ მოგვეშველნენ ნასწავლნიცაო.

3 აპრილს ერთი ცუდი ამბავიც ჩამოგვივიდა ნატანებიდან. იქიდან ბათომის მხარეს ჯავშნოსან მატარებლით გამგზავრებულა ქართული დივიზიის უფროსი გენერალი მაზნიაშვილი. მაგრამ ნატანებიდან მე-69 ვერსტზე ხიდი გაფუჭებული დახვედრია და მხოლოდ პირადს მამაცობას და წინდახედულობას გადაურჩენია იგი განსაცდელისაგან. ხიდის გაფუჭება ქობულეთელებს ბრალდებათ.

4 აპრილი.

ამ დღეს ჩვენთვის არავითარი მნიშვნელოვანი ცნობა არ მოაქვს.

ნაშუადღევს ნატანებიდან ჩამოჰყავთ ოთხი ქობულეთელი, რომელთაც ხიდის გაფუჭება ჰქონიათ აზრად.

ასე უსაქმოდ ყოფნა მოსაწყენია და მეც ნაშუადღევის სამს საათზე ბათომისაკენ მივემგზავრები. ვნახოთ სადამდის მიმიყვანს მატარებელი. იქნებ ახალი რამ გავიგო! არც აქ არის რამ თურმე ახალი. მატარებელი ნატანებში გაჩერდა. იქით აღარ მიდის და ორის საათის შემდეგ ისევ სამტრედიაში უნდა გამობრუნდეს.

ცრუ ხმები ამ ჟამად ბევრი ვრცელდება ხალხში და ნატანებში ჩასვლის უმალ ერთი ტყუილი კინაღამ მეც შემომაპარეს, ხოლ ჟორდანია აქ არის სალდათის ტანისამოსში გამოწყობილი და „ვინტოვკა“ გადაგდებული მხარზეო. ნ. ჟორდანია მართლაც იქ აღმოჩნდა, მაგრამ იგი თავის ჩვეულებრივს ტანისამოსში იყო. როგორც გადმოსცეს, ამ დღეს კაკა წერეთელიც აქა ყოფილა.

ღამის 11 საათზე ნატანებიდან ისევ სამტრედიას ვბრუნდები ექიმ ვ. მუსხელიშვილთან ერთად, რომელიც აქვთ გამოგზავნილია გზების დასათვალიერებლად სანიტარულის მხრით.

5 აპრილი.

ეს დღეც არავითარ მნიშვნელოვან ცნობას არ იძლევა სამშობლოს გან-

სალდულის შესახებ. როდესაც შუადღისას ტფილისის გაზეთები მოდის აქ და ვკითხულობ, ბათომი დავიბრუნეთო, მე მწარედ მეღიმება და კარგად ვგრძნობ გულისტკივილს ქართველ ხალხისას, რომელსაც არ უნდა წარმოიდგინოს, რომ ბათომი ისევ მტრის ხელშია.

ამ დღეს ტფილისიდან ჩამოდის ჩვენი პოლკის უფროსი იოსებ გედევანიშვილი, რომელსაც ჩვენი ამხანაგები—რაზმელები დიდის აღტაცებით ეგებებიან. იგი განსაკუთრებულის სიტყვით მიმართავს ქიზიყელთა რაზმს, რომელმაც ხანგრძლივ და მამაც ბრძოლის შემდეგ ჩაქვში მტრის ჯარი გაარღვია და ფოთით სამტრედიაში ჩამოვიდა ამ ორის დღის წინად.

ღამის ათი საათია. მატარებელი ჩქარა გამოვა ტფილისისკენ და მეც იძულებული ვარ აქ შევწყვიტო წერილი.

რ. ბ—ლი.

უკანასკნელი ცნობები

ახალი კაბინეთი უკრაინაში.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ უკრაინაში ახლად შემდგარი სამინისტრო ასეთია: გოლუბოვიჩი—მინისტრი-თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, ტკაჩენკო—შინაგან საქმეთა, შელუხინი—იუსტიციისა, ჟუკოვსკი—სამხედრო, საკოვიჩი—გზათა, სიდორენკო — ფოსტა - ტელეგრაფისა, კოვალევსკი — მიწადმოქმედებისა და სურსათისა, პროკოპოვიჩი—ფინანსთა, ჩეპოვსკი—ვაჭრობა-მრეწველობისა, მიხაილოვი—შრომისა, კრისტიუკი—გენერალური მდივანი. ახალმა კაბინეთმა თავის მოღვაწეობა საბჭოთა ორგანოების მოსპობით დაიწყო, რაიცა, „ფორვერტსის“ ცნობით საბჭოთა პოლიტიკურ უფლებათა ანნულიაციაში, გაუქმებაში გამოიხატა.

წერილი ახალციხიდან

24 მარტს ახალციხეში მოვიდნენ ოლთისიდან გამოქცეული ჯარისკაცები, იოსებ ბაქრაძე და ვიქტორ ყიფიანი, რომლებიც მსახურებდნენ მე-2 სამთო საარტილერიო პარკში. რადგანაც ახალციხის ქართველთა ინტერპარტიული საბჭო დაინტერესებულია, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე მთელი სამაჰმადიანო საქართველოს მდგომარეობის გამორკვევაში, ამიტომ 25 მარტს თავის სხდომაზე მოიწვია ზემოდასახელებულნი პირნი და გამოჰკითხა, თუ რა მდგომარეობაშია ოლთისი და მის აქეთ მდებარე არტაანი და რა პირობებში მოუხდათ მათ მოგზაურობა ოლთისიდან ახალციხემდის. როგორც დანამდვილებით გავიგეთ ბაქრაძემ და ყიფიანმა განუცხადეს საბჭოს შემდეგი: 6 თებერვალს ადგილობრივი მაჰმადიანები შემოერტყნენ ოლთისს; მცხოვრებლებმა შენიშნეს რა, რომ მაჰმადიანები, რომლებსაც მეთაურობდა რუსის ჯარში ნამსახური ექიმი. მრავალრიცხოვანი და მთლად შეიარაღებულნი არიან, შეუშვეს ისინი ოლთისში სისხლის დაუღვრელად. როდესაც მაჰმადიანები ოლთისში შემოვიდნენ, აღმოჩნდა, რომ მათში შეიარაღებული მხოლოდ სულ მცირე ნაწილი—100-დე კაცი იყო, უმრავლესობა კი ჯოხებით იყო, ასე რომ ადვილად შეგვეძლო დაგვემარცხებია მაჰმადიანები და არ გაგვეშვა ოლთისში, მაგრამ მათი რიცხვით მოვტყუვდით და ჩავაბარეთ ქალაქი. მაჰმადიანებმა არავის არ აჰყარეს იარაღი, მხოლოდ გაგვძარცვეს არსენალი, სადაც მილიონობით ინახებოდა ტყვია წამალი და მთლად დაისაკუთრეს. 10 თებერვალს 50-დე ჯარში მოსამსახურე ქართველი იარაღით გამოვედით ოლთისიდან არტაანისაკენ. წამოვიყვანეთ ჩვენივე ცხენები ფურგუნებით. მაჰმადიანებმა გამოგვაყოლეს თავისი კაცები. მერდენეკში რომ მოვედით ადგილობრივ შეიარაღებულმა მაჰმადიანებმა გვთხოვეს იარაღი. ჩვენ არ დავეთანხმეთ. საქმე უნდა გამწვავებულიყო და ვითომდა ჩვენდა დასახმარებლად მოვიდა მუსულმანთა ადგილობრივი ცხენოსანთა ჯარი, რომელმაც (არც დაგვეხმარა, არც იარაღი [illegible]

თო; ეს ასეც მოხდა, თუმცა ხელი არ გვახლეს, მაგრამ ბევრ რამეში გვატყუილებდნენ. გაგვაჩერეს 10 დღე, მერე შემოეხვივნენ ქურთები და მთლად მერდენეკი გაძარცვეს, თუმცა მცხოვრებთაგან არავინ მოუკლავთ. მერდენეკში შემოგვიერთდნენ ადგილობრივი ქრისტიანი მცხოვრებნიც, გავხდით 150 კაცამდე. ამ რიცხვიდან შავგვრემანები (როგორც სომხები) გადაარჩიეს მაჰმადიანებმა და წაიყვანეს, საით არ ვიცით. რუსებიც გამოგვყვნენ და 7—8 ფურგუნით გაიწიეს ყარსისკენ, ძალიან ვეჭვობთ, რომ ესინი მშვიდობიანად ჩავიდნენ ყარსში. დანარჩენ—ქრისტიანებს მაჰმადიანებმა ქრთამად გამოგვართვეს 18000 მანეთი და მერდენეკიდან გამოგვიშვეს არტაანისაკენ. გზაში არტაანამდის მაჰმადიანებმა მოტყუებით ჩამოგვართვეს იარაღი. არტაანში მოვედით 15 მარტს, მშვიდობიანობა იყო, თუმცა ქალაქი ეკავათ ბეგებს.

საღამოს პირი იყო რომ უცბად არტაანში ხმა გავრცელდა ყაჩაღი აბდულა თავისი 400 ცხენოსნით—ქურთებით შემოესია ქალაქსო. ხმა გამართლდა. საშინელი სურათი გადაიშალა: ქურთებმა მიჰყვეს ხელი აწიოკებას, რბევას და ხალხის ჟლეტას. გადასწვეს სახლები დაარბიეს მცხოვრებნი მხოლოდ დახოცვით მარტო სომხები დახოცეს, ქართველებისთვის და რუსებისთვის ხელი არ უხლიათ. რბევამ და სომხების ჟლეტამ გასტანა მარტის 15 საღამოდან 17 დილამდე. სურათი გულშემზარავი და გამოუთქმელი იყო. სხვათა შორის ამ სურათის მოწმენი არიან; ჯამალბეგი, ასლანბეგ ხიმშიაშვილი, ბახშიბეგ მაჩაბელი (ახალციხის მაზრიდან არის) და თემურ-ბეგი. უკანასკნელი სტიროდა, ეხვეწებოდა და ემუდარებოდა აბდულას და ქურთებს: ნუ იქმთ ველურობას, ნუ ხოცავთ უდანაშაულო ხალხს, მაგრამ მისმა მუდარამ ნაყოფი ვერ გამოიღო. მას აბდულა და ქურთები უპასუხებდნენ: სომხებმა ყარსის მაზრაში ჩვენდამი ჩაიდინეს ის, რასაც ჩვენ აქ ჩავდივართო, ასე რომ ეს ვალის გადახდაა და არა ველურობაო. ამ რიგად დამთავრდა არტაანის ტრაგედია. ბერძნებს, ქართველებს და რუსებს ერთ ადგილს მოგვიყარეს თავი, ამათგან ნაწილი უნდა გაეგზავნათ ახლო მდებარე სოფელ მიხაილოვკაში, ნაწილი-კი 100 კაცამდე (მათ შორის 60-დე ქართველი) დიდი ვაივაგლახის შემდეგ გამოგვიშვეს ახალციხისკენ. მეთაურად გამოგვყვა ბაღში-ბეგ მაჩაბელი, რომელმაც წამოიღო არტაანიდან აბასთუმნისათვის 2 ზარბაზანი ერთი 4 დუიმიანი და მეორე 6 დუიმიანი. განსაკუთრებით ჩვენ ქართველებს, თემურ ბეგმა გამოგვაყოლა ერთი აჭარელი. მოვედით სოფელ დამალაში (25 ვერსზეა ახალციხიდან). აქ ასლან-ბეგმა გამოგვიცხადა ახალციხეს ვერ გაგიშვებთ, რადგანაც გზაში გაგძარცვავენ, მოიცადეთ არტაანიდან მოვლენ ჩვენი ძალები და ისინი უვნებლად მიგაცილებენ საზღვრამდისო. მეტი რა ღონე გვქონდა, გავჩერდით, მაგრამ დახუთ ხიფათს, მოვიდა აჭარელი და ასლან ბეგს შეატყობინა: აჭარლებსა და გურულებს შორის შეტაკებაა, ამიტომ ქართველებს ნუ გაუშვებთ და აბასთუმანში გაამგზავნეთო. ასლან ბეგმა ეს, რომ გაიგო, ჩვენ უფროს პორუჩიკ კოწია ბაქრაძეს გამოუცხადა, რომ თქვენ ქართველები ჩვენთან ტყვეთ ითვლებითო. სხვათა შორის გვეუბნებოდნენ: მაინც ზარბაზნიდან სროლა ჩვენში არავინ იცის და თქვენ ქართველები, როგორც არტილერისტები ჩვენ გამოგვადგებითო. ასლან-ბეგმა ბეგები მიიწვია და მადლობა გამოუცხადა მათ, ყარსის, არტაანის და ბათომის დათმობაზე და აღუთქვა—მეთვით უვნებლივ გაგაცილებ ახალციხემდისო.

ამ რიგად 60-დე ქართველი მაჰმადიანებმა დაგვაკავეს, ამიტომ ჩვენ ორმა მოვისყიდეთ ერთი მაჰმადიანი და გამოვიპარეთ. მოსყიდულ მაჰმადიანმა გამოგვაცილა 5 ვერსზე, ორასი მანეთი უნდა მიგვეცა მისთვის, მაგრამ როცა დანიშნულ ადგილამდის მოგვაცილა 4000 მანეთზე ნაკლები [illegible]

ასე დაუმთავრებიათ თავიანთი თავგადასავალი და ოლთის-არტაანის მდგომარეობა, ბაქრაძეს და ყიფიანს.

ინტერპარტიულ საბჭოს მოუსმენია-რა ბაქრაძის და ყიფიანის განცხადება, იმავე დღეს 25 მარტს, მიუმართავს დეპეშით პრინც კაჯარისთვის აბასთუმანში, რათა მან დაუყონებლივ მოახდინოს განკარგულება 60-დე დაკავებულ ქართველების განთავისუფლებაზე. ასეთივე დეპეშა საბჭოს გაუგზავნია ტფილისში ქართულ ეროვნულ საბჭოსთვის.

27 მარტს პრინც კაჯარისგან უკვე მიიღო საბჭომ პასუხი, საიდგანაც სჩანს, რომ მას გაუცია ბრძანება დაუყონებლივ განთავისუფლონ დამავლიაში დაკავებული ქართველები.

ზემონათქვამიდან მკითხველი ადვილად მიხვდება, რას უნდა მოელოდეს ქალაქი. ახალციხე ადგილობრივ მაჰმადიანებისაგან. რომელთაც სათავეში რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლების და სამშობლოს მოღალატე ბეგები სდგანან.

რას ნიშნავს, ვისთვის და რისთვის არის გადმოტანილი არტაანიდან აბასთუმანში ზარბაზნები? ცხადია ზარბაზნის ლულები პირველ ხელსაყრელ შემთხვევისთანავე ჩვენსკენ მოიმართება. ასეა თუ ისე მდგომარეობა უნუგეშოა, ხალხი ახალციხიდან გარბის, დიაღ გარბის რადგანაც შველას არსაიდან არ მოელის.

არა მეხხი.

მოწერილი ამბები.

ს. ერედვი, ცხინვალის არეულობაში, როგორც უკვე მოეხსენება მკითხველს, ერედველებმაც მიიღეს მონაწილეობა, და მონაწილეობა თითქმის პირველიც. ასე სჩანს თითქმის ყველა წერილიდან, განმარტებიდან თუ ოქმიდან, რომელიც დღემდე დაიბეჭდა და იბეჭდება. რამდენად სიმართლეს შეიცავს ეს ბრალდება, ამას მალე დავინახავთ. ცნობებს ვკრებთ და ვრცელ წერილში შემდეგ მოვახსენებთ მკითხველებს საქმის ვითარებას. ამ ჟამად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ერედვი ცნობილი იყო აქამდე როგორც უკულტურო, უვიცი, გაუნათლებელი სოფელთაგანი, ხალხი გონება-ბნელი მაგრამ შედარებით მშვიდობიანი. თუ ცხინვალის ტრაგედიაში მათ „პირველობა“ ეკუთვნის, ამაში ხალხი არ არის დამნაშავე, დამნაშავე და სასტიკად დასასჯელი ის ორიოდე პირი, რომელიც ეხლახან დაბრუნდნენ ჯარიდან და წყალს დაუწყეს მღვრევა. პირველობა მათ შორის, როგორც გავიგეთ, ზ. ქრისტესიაშვილს ეკუთვნის, რომელიც დიდის საზოგადოების მამასახლისად იყო, სულით ხორცამდე გაფცქნა გლეხობა; შემდეგ კი იყო „სტრაჟნიკად“ იგი ვერ ელის ალბად ძველ მთავრობასა და ქრთამებს და ძველი დროების დაბრუნების მონატრულია. ჰკრებს თავის გარშემო საეჭვო პირებს და ყოველნაირად ამღვრევს წყალს, რომელშიაც ალბად თვითონვე სცდილობს ყველაზე მეტი თევზი დაიჭიროს. იგი სხვებთან ერთად სოფლიდან გადაიკარგა და ალბად ტყეს ან ღრებს აფარებს თავს. ერედველები უნდა დაისაჯნენ, რასაკვირველია, დაისაჯნენ იმ სამარცხვინო საქმეში მონაწილეობისთვის, რომელსაც ამიერიდან ცხინვალის დრამა ეწოდება, მაგრამ დაისაჯოს მთლად სოფელი კი არა, ის შავ-ბნელი და მავნე ვაჟბატონები, რომელთაც სოფელი, თვის შავი გულის მოსაფხანად, კისერზე გადაიგდეს.

აქაური.

კოოპერატიული მოძრაობა

ქ. ზუგდიდი. 4 მარტს სამომრიგებლო სასამართლოს შენობაში მოხდა ზუგდიდის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა წლიური კრება კალისტრატე კობახიძის თავმჯდომარეობით. ამხანაგობის თავმჯდომარის [illegible] მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1918 წლის 1 იანვრისათვის ამხანაგობას ქონია პასივი:

საწევრო ფულიდან შედგარი ძირითადი თანხა .	500,7 მ.	53 კ.
საკუთარი თანხა . .	833 „	44 „
[illegible] თანხა . .	2,500 „	— —
[illegible] სესხი	4,500 „	— —
[illegible]	417 „	70 „
შესანახად მობარებული	51,018 „	13 „
სახელმწ. ბანკიდან ნასესხები . . .	30,000 „	— —
მოსკ. სახალხო ბანკიდან ნასესხები . .	7,000 „	— —
გარდამავალი თანხები	639 „	60 „
წმინდა მოგება . .	2,674 „	49 „
ჯამი . . .	104,990 „	89 „
აქტივი:		
მოსკ. სახალხო ბანკის აქციები . .	525 მ.	25 კ
პრ. ქალ. სახელმწ. დ თავისუფლების სესხისა . . .	3,302 „	50 „
გაცემული სესხი .	62,275 „	— —
ქონება	370 „	— —
ხელად ფული . .	38,518 „	14 „
ჯამი . . .	104,990 „	89 „

კრებამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიში, ხოლო წმინდა მოგება თანახმად გამგეობის წინადადებისა შემდეგნაირად გაანაწილა: 1,069 მან. 80 კ. გადასდო საკუთარი ძირითადი თანხისათვის, 534 მან. 90 კ. სათადარიგო თანხად, 900 მ. მიუმატა საკუთარი სახლის ასაშენებელ ფონდს და დანარჩენი 169 მან. 79 კაპ. გადასდო ეროვნული საბჭოს სასარგებლოდ.

შემდეგ კრებამ მიიღო 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომლითაც გამგეობის წევრებს დაუნიშნა თვეში თითოს ასი მანეთი, საბჭოს წევრებს თითოეულ სხდომაზე დასწრებისათვის თითო თუმანი, სახლისათვის 600 მ. წელიწადში და სხვ.

დასასრულ ვადა გასული წევრები გამგეობისა ბაგრ. უგულავა და საბჭოსი ბეს. ჯიქია ხელ-ახლად ერთხმად იქმნენ არჩეულნი კრების მიერ.

მი—კა.

შემოწირულება

მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაამსტამბოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი შენიშვნა შემომწირველთა სიით.

შევკრიბე რა ჩემი ხელქვეითი მოხელენი სხვა და სხვა საქმეებზე მოსალაპარაკებლად, სხვათა შორის ვაცნე მათ ტფილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება და აგრეთვე არსებობა ეროვნული საბჭოსი. ცოტა განმარტების შემდეგ მათ მნიშვნელობაზე, ყველამ ერთხმად დიდი სიხარული გამოსთქვა და მოისურვა შეძლებისდაგვარად შეეკრიბათ ურთიერთ შორის ფული და გაეგზავნათ ერთდროულ დახმარებად ორსავე დაწესებულებისათვის. მთხოვეს გადმომეცა 10% იმ ფულიდან, რომელიც მათ ერთდროულ შემწეობად დაუნიშნა მთავრობამ სიძვირისა და გაჭირვებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლად წასულ უქმეების დროს, რომელიც ჯერაც მიუღებელი აქვთ ფოსტაში ფულის უქონლობის გამო. აქედან შედგა 985 მან. რომლიდანაც 5 მან. დაიხარჯა გადმოგზავნისათვის, დანარჩენიდან ნახევარ ნახევარი გადაეცით ორსავე დაწესებულებას.

სია შემომწირველთა: კ. დ. ლორთქიფანიძე—45 მან. ოთხ-ოთხი თუმანი: ხარლამპი ღალბევი, პლატონ ბოკელაძე, ალექსანდრე სამუშის, სკუნჩი სამუშია, ივანე დოლიძე, ვასილ ქარდავა, კოწია ფიფია, ახმედ ჯინჭარაძე, დოროთე თოდუა, ფარნა სამუშია, ფილიპე შონია, პეტრე ქარდავა, აჩი ჭკადუა, კოწია ჭკადუა, ისაკი ქარდავა, დიმიტრი ქარდავა, ედისე ჭკადუა, აზნ. ანსაანი ტარასი ქარდავა, ივანე დავითიანი მიხეილ ცენდელიანი, იულონ ბერიშილი. ოც-ოცი მანეთი: დავით ლორთქიფანიძემ, იონა კოკელაძე, მალაქია ბუკია.

ტყეთა გამგე („ლენჩი“) კ. დ ლორთქიფანიძე

—

მოქალაქე რედაქტორო!

სრული იმედი მაქვს ნებას მომცემთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა შევსწირო ქვემორე აღნიშნულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და რწმუნებულ ჩემდამო ჰრეზალოს უ. დ. სასწავლებელს შემოსწირეს თავიანთი წვლილი.

სია შემომწირველთა:

მღ. პოლ. გაგოშიძემ 83 მ., რომან [illegible] ძემ, იასონ ცხვედიანმა და ნიკიფორე ცხვედიანმა, თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი: დალ. ფარეიშვილმა და გერ. კობახიძემ, თითო თუმანი: ტიმ. სამთელაძემ, იაკ. მუსერიძემ, პლ. დავითულიანმა, სამსონ გოგოლაშვილმა, ბეს. რატიაშვილმა, დათა ცხვედიანმა, ვასილ თვარაძემ, ესავ დუხუტაშვილმა, მიშა ყიფიანმა, არტ. შიშინაშვილმა, კონსტ. კემოკლიძემ, სამსონ ჰელიძემ, ნიკ. ლეკიშვილმა და გიორგი გიორგობიანმა, ხუთ-ხუთი მანეთი: საშა იაშვილმა, ეფრემ გაგოშიძემ, სემინარ უჩრეხელიძემ, ეფრემ დავითულიანმა, ოლია ლეკიშვილმა, ილიკო ლეკიშვილმა და ილ. კერესელიძემ.

ამას გარდა ტფილისიდან მივიღეთ ლამექ ცხვედიანის მიერ შეკრებილი 130 მანეთი და ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობისაგან ორასი მანეთი.

შემოწირულება მიღებულია სხვებისგანაც და მათი სია შემდეგში იქნება გამოქვეყნებული.

პატივისცემით ჰრეზალოს უ. დ. სასწავლებ. ინსპექტორი **ლ. კვიკვიძე**

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს 5—6 ს.-დე კვირის დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] 1030

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 2 [illegible] 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პაველოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სად. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს სად. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 8.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. უ. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანის
საავადმყოფოში იარსებებს **კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.**
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს. დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. **ღარიბები უფასოდ მიიღებიან** კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9 $^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამინოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 101

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14